საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

PUBLIC LAW LEGAL ENTITY TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020151272872119

№ **42-04** **06 / მარტი / 2019 წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში 500/400/220 კვ-ანი ,,ახალციხისა“ და 220/110/35/10კვ-ანი ,,ბათუმის“ ქვესადგურების დამაკავშირებელი 220კვ-ანი ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებებზე (,,შუახევი ბათუმის მონაკვეთი“-ს ანძა N250-N398 შუალედში (სულ:144 ანძა, 51 კმ-ანი მონაკვეთი) ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაგრძელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში 500/400/220 კვ-ანი ,,ახალციხისა“ და 220/110/35/10კვ-ანი ,,ბათუმის“ ქვესადგურების დამაკავშირებელი 220კვ-ანი ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებების (,,შუახევი ბათუმის მონაკვეთი“-ს ანძა N250-N398 შუალედში (სულ:144 ანძა, 51 კმ-ანი მონაკვეთი) ადმინისტრაციული წარმოების ვადა 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა #2).

3. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:
1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 05.03.2019 წლის №2289/01 წერილი.
2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების სამმართველოს უფროსის თენგიზ კოდუას N446/04 06.03.2019 წლის მოხსენებითი ბარათი.

უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გრიგოლ კაკაურიძე